პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!




ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ ყოველ დღე. რედაქ. მისამართი: სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. სართ. რუსთაველის პრ. № 31

ოთხშაბ. 20 დეკემბერი 1922 წ.
წელიწადი მეორე

№ 171 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 171


# საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი და მენშევიკ-პროვოკატორები.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების პირველმა კონფერენციამ, რომელიც გაიხსნა ათ დეკემბერს ქალ. ტფილისში და დასრულდა 13 დეკემბერს მეტად დიდ და მრავალ მნიშვნელოვან საქმეს ჩაუყარა საძირკველი.

მან ერთხელ და სამუდამოთ დაამტკიცა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია, შეიმუშავა მისი კონსტიტუცია და აირჩია უმაღლესი ორგანო ალმასკომში, მთლიან ამიერკავკასიის ფედერაციისა, რომელიც დღეიდან იქნება მთავარი რეგულიატორი რევოლიუციის მსვლელობისა და საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობისა ჩვენში. როგორც არა ერთხელ გვქონდა ჩვენი მკითხველებისათვის, საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსებისა ისე მომწიფებულია თავისი პოლიტიკური თუ ეკონომიური პირობების გამო, რომ დღეს თვით ბ. ბ. მენშევიკები, დაშნაკელები და მუსავატელებიც არ მალავენ ამას და როგორც ვიცით მათი დადგენილებიდან, საზღვარ გარეთ, მათ უკვე გადაუდგამს ამ შემთხვევაში ნაბიჯი და დაუარსებიათ, რასაკვირველია ფიქტიურათ, ამიერკავკასიის ფედერაცია (ამასვე ვნახულობთ ჩვენ ამას წინად მოპოვებულ ბანდიტ ჟორდანიას გამოქვეყნებულ დოკუმენტებიდან). მაშასადამე თვით მენშევიკებიც კი დღეს წინააღმდეგი არიან საქართველოს ცალკე არსებობისა, ისე როგორც დაშნაკელები და მუსავატელები სომხეთისა და აზერბეიჯანისა.

მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ ამ დღევანდელ საქართველოში მყოფ მენშევიკ-პროვოკატორებისაგან? ისინი დღეს, კომუნისტების მიერ ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსების წინააღმდეგ ისტერიულად გაჰყვირიან და ეწევიან საზიზღარ პროვოკაციას საქართველოს მცხოვრებთა შორის, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ საქართ. მშრომელი ხალხი, რომელმაც არა ერთხელ გაუშინჯა საქართ. ამ მარშალებს და ახინჯ შვილებს კბილები, ოდნავათაც არ წამოეგება მათ მიერ გამოსროლილ ანკესზე რადგან მან უკვე კარგათ იცის, რომ მენშევიკებს ამ შემთხვევაში არა ამიერ კავკასიის ფედერაცია აწუხებს, არამედ თავისი სამოთხის დაკარგვა, სადაც ისინი ისე ტკბილათ ცხოვრობდნენ და აძრობდნენ ტყავს საქართველოს მუშათა კლასს. დიდი სურვილი აქვთ ბ-ნ. მენშევიკ-პროვოკატორებს საქართველოში წყლის ამღვრევისა, მაგრამ უნდა იცოდნენ ამ ვაჟბატონებმა, რომ ისინი თვით დაიხრჩობიან მათ მიერ ამღვრეულ წყალში.

მეორე ღირსშესანიშნავი საკითხი რომელიც დადებითად გადაჭრა ბაქოში მომხდარმა ამიერ კავკასიის საბჭოთა კონფერენციამ, არის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის სრულიად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში თავისუფალ წევრათ შესვლა.

ამ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელათ ამ დღეებში მოსკოვში შედგება ყველა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც არჩეულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის ერთი უზენაესი ორგანო ალმასკომი.

ეს ორგანო კი ფხიზელი დარაჯი იქნება ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომელიც დაიცავს მათ, როგორც შინაურის, ისე გარეშე ყვავყორნებისაგან და ამით საშუალებას მისცემს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთ გულდამშვიდებით და ინტენსიურათ შეუდგნენ სახალხო მეურნეობის და მრეწველობის აღორძინებას.

დეე, იხავლონ საბჭოთა ყველა მტრებმა და ორგულებმა ამ დიად მოვლენის წინააღმდეგ, ეს ოდნავათაც ვერ შეუკრთობს გულს რევოლიუციის ცეცხლში გამობრძმედილ მშრომელთ და ის ამაყათ გასწევს თავის დიად მიზნისკენ, კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს.

ძირს ხალხის მოღალატე პროვოკატორები.

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას.

# იერიშით წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ.

**მთელი ჩვენი ენერგია წითელი არმიელის გათვითცნობიერებისაკენ.**

წითელ არმიაში არსებული შესამჩნევად საგრძნობელი პროცენტი წერა-კითხვის უცოდინართა და უდიდესი პროცენტი ცოტა ოდნავად მცოდნე არმიელებისა, ამ მოკლე ხნის განმავლობაში, აუცილებლად უნდა მოსპობილ იქმნას.

მთელი ძალები, რომელიც მოიპოვება ჩვენს განკარგულებაში უნდა ჩავაბათ ამ სიბოროტის საწინააღმდეგო ბრძოლაში, მთელი ჩვენი საშუალებანი უნდა სისწრაფით გამოვიყენოთ ამ საქმეში და წითელი ფიცის მიღების დროისთვის, ყველა წერა-კითხვის ცუდად მცოდნე და სრულიად არ მცოდნე წითელ არმიელები, სრულიად მომზადებულად უნდა გარდაიქმნენ, რათა შესაფერი ყურადღებითა და შეგნებით შეითვისონ წითელი ფიცის სიტყვების მნიშვნელობა. მთელი უფრ. და პოლიტ. შემადგენლობა წითელ არმიისა, დაწყებული ზევიდან, გათავებული უკანასკნელ რიგში მომუშავემდის, გამსჭვალული უნდა იყვენ ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვანი ფაქტით. საჭიროა მიიღონ ყოველგვარი ზომები, ამ დაწყებულ მუშაობის ყოველგვარ ხელის შემშლელ პირობების წინააღმდეგ. ნაწილებში ისეთი სისწორით უნდა იქნეს განაწილებული დრო, რომ ყველა შესაფერისად მოუმზადებელმა არმიელმა, შესძლოს რეგულიარულად მეცადინეობა სასწავლებელში. წერა-კით. მცირე მცოდნეთა მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს დღე გამოშვებით მაინც, არა უმცირეს 2 საათისა დღეში, ხოლო სრულიად არა მცოდნეთა მეცადინეობა კი ყოველ დღიურად 3 საათს, რომელსაც უნდა ექნეს სისტემატიური ხასიათი.

ნაწილის ყველა მომუშავე ვალდებულია, სასტიკი ყურადღება მიაქციოს, რათა არც ერთი უცოდინარი წითელ არმიელი არ იქნეს ჩამოცილებული სასკოლო მეცადინეობას, რაიმე მიზეზიც არ უნდა იქნეს ამისთვის ნაწილის სამსახურს ცხოვრებიდან, არამც თუ ერთი დღით არამედ ერთი საათითაც კი, რადგან ასეთი დროის დაკარგვა საკმარისია იმისთვის, რომ არმიელს სავსებით დაავიწყდეს ის, რაც ისეთი შრომითა და გაწვალებით შეითვისა წინა დღით. აუცილებლად ჯარის კაცის გათვითცნობიერებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული ყველა შემთხვევით თავისუფალი საათები, რომ მეტის სიჩქარით და ნაყოფიერებით გაქანდეს წინ დასახული მიზნის შესრულების საქმე.

კომანდირები, პოლიტ-მომუშავენი და დივიზიის მასწავლებლები, რომლებსაც უხდება ცხოვრება წითელ არმიელების გვერდით და, რომლებსაც გათვალისწინებული აქვს ყოველი წითელი არმიელის პსიხიკა თუ კულტურული სიძლიერე, შეუძლიათ მხედრის თითეული დასვენების წუთიც კი მოხერხებულად გამოიყენონ, მათ განვითარების საქმეში. ხშირად ხდება, რომ ამა თუ იმ ცნობების გადაცემის დამთავრება, სკოლებში განსაზღვრულ სამოსწავლო საათების განმავლობაში არ ესწრება, მაშინ საჭიროა ეს დანაკლისი შევსებული იქნეს ყაზარმებში საღამოს დასვენების დროს, ამნაირად რაც არ მოესწრება სკოლაში, უნდა მოესწროს ყაზარმაში.

მეტად რთული და მძიმე ამოცანები რომელიც დაკისრებული აქვს არმიელს, ასეთ არა ხელშემწყობ პირობებში, შეასწავლის მას სამხედრო საქმეს, წერა-კითხვას და აღზრდის მასში მძიმე შრომის ამტანს და გმირულ სულის მქონე მხედარს. ძლევა მოსილი წითელი არმია, რომელიც გმირულად გამარჯვებული გამოვიდა უთვალავ სისხლის მღვრელ ფრონტებიდან, გვრწამს ისეთივე ძლევა მოსილი და გამარჯვებული გამოვა წითელი მხედრის გათვითცნობიერების და განვითარების, უსისხლო ფრონტიდანაც.

როგორც ომის დროს ლაშქრის დამარცხება თუ გამარჯვება დამოკიდებულია, ბრძოლის ხელმძღვანელის გამოცდილებაზე, ისე ამ ფრონტზედაც პოლიტ-შემადგენლობის და უფშემადგენლობის მოხერხებულ და გონივრულ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული გამარჯვება და სასურველ შედეგის მიღწევა.

ამნაირად აღნიშნულ მუშაობის ერთსულოვანი წარმოებით სიბნელის წყვდიადიდან, ჩვენ შეგვიძლია მივიყვანოთ წითელი არმია მისი არსებობის 5 წლის თავზე, ნათელის შეგნებით და ბრწყინვალებით შემოსილი.

# გაზეთ „წითელ-არმიელის“ კვირეული

სახალხო სასურსათო კომისარიატმა გაზ. „წითელ-არმიელს“ შემოსწირა 20 ფუთი გაზ. ქაღალდი; საქართველოს საგანგებო კომისიამ („გრუზჩეკა“) 5 მილიონი გრუზბონებით და მეორე საარტილერიო დივიზიონმა 15 მილიონი მანეთ. მის მიერ გამართულ საღამოს შემოსავლიდან.




**— ჰააგის სამშვიდობო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო რუსეთის წარმომადგენელიც დაიხურა 15 დეკემბერს.**

**— მთელ პოლონეთში გამოცხადებულია სამხედრო წესები.**

**— პოლონეთის ახალ პრეზიდენდათ ასახელებენ გენერალ სიკორსკის ის უპარტიოა და სარგებლობს საერთო ნდობით.**

**— იტალიის ფაშისტებს სურთ ომი გამოუცხადონ სამხრეთ სლავიას.**

**— სამხრეთ სლავიაში კომუნისტებს სდევნიან.**

# სამშვიდობო კონგრესი ჰააგაში.

საზავო კონგრესზე ჰააგაში ბრუნსონმა გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა დაცვის, ლიგის მიერ მოწონებული და რომის პროფკავშირთა კონგრესის მიერ მიღებული რეზოლიუცია, ომის შემთხვევაში საყოველთაო საერთაშორისო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

საერთაშორისო სოციოლოგიურ ინსტიტუტის პროფესორმა ტურინემ პროტესტი განაცხადა კონგრესზე ბოლშევიკების დასწრების გამო.

დიდი მღელვარება გამოიწვია რადეკის გამოსვლამ „თქვენსა და ბურჟუაზიულ პაციფისტებს შორის, სთქვა რადეკმა, მიმართა რა 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის წარმომადგენლებს,—ისეთივე უფსკრულია, როგორც თქვენსა და ჩვენს, კომუნისტებს შორის. მიუხედავად ამისა თქვენ უკავშირდებით პაციფისტებს. განმეორებული წინადადებები ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ თქვენის მხრივ პასუხ გაუცემელი დარჩა მე სიამოვნებით ვღებულობ რომის კონგრესის რეზოლიუციას საყოველთაო გაფიცვის შესახებ. ამ რეზოლიუციის მიღება თქვენ მიერ იმის დამამტკიცებელია, რომ თქვენ იძულებული შეიქენით უარყოთ საკუთარი დოგმა სამშობლოს დაცვის შესახებ. თუ იფიქრებთ, რომ ეს ნაბიჯი სერიოზულათ იქნა გადადგმული, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თქვენ გამოფხიზლების გზაზე დადექით მე ვფიქრობ, რომ თქვენი რეზოლიუცია საყოველთაო გაფიცვის შესახებ არის ცარიელი ფრაზა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თუ გააცინებს ბურჟუაზიას!

კონკრეტიულ ღონისძიებათა სახით რადეკმა წინადადება წამოაყენა მოეწყოს ჰოლანდის კვირეული ლოზანის და ლონდონის კონფერენციაზე გამოაშკარავებულ საშიშროების წინააღმდეგ,—24 საათის საერთაშორისო გაფიცვის გზით

# სხვა და სხვა ამბები

## ორი ინტერნაციონალის შეერთება.

— ორი და ორნახევარი ინტერნაციონალების შეერთების მიზნით გააგაში დაარსებულ კომიტეტში შევიდენ: ვოლხეტი, ბრაკ, აბრამოვიჩი, ადლერი, ვანდერველდე, ველს, გენდერსონი და ტომა.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი.

**საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.**

— ბელორუსიის საბჭოთა ყრილობამ მიმართა რ. ს. ფ. ს. რ. უკრაინას და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მისალმებით, რომელშიაც გამოსთქვამს რწმენას, რომ მთელი რუსეთის მშრომელი მასის რევოლიუციონური ნების გაერთიანება განმტკიცდება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახით.




## მადლობის ღირსია!

10 დეკემბერს ცალკე მესანგრე ასეულში იქნა გადმოგზავნილი ახლად გამოშვებული კურსანტებიდან ამხ. შავდია. მე არ შემიძლია ყურადღებით არ მოვეპყრო ამხ. შავდიას, და არ აღვნიშნო მისი ნამდვილი ყოველ მხრივ დადებითი მხარეები. თუმცა დიდი ხანი არ არის ამხ. შავდია ჩვენს ნაწილშ, მაგრამ მან ისეთი ერთგულობა გამოიჩინა, რომ შეგვიძლია თამამად ვსთქვათ ის არის და იქნება წითელი ჯარის ინტერესების დამცველი მუდამ.

ამხ. შავდიამ იცის სრულად თავისი მოვალეობა, ის მსახურობს როგორც რიგი და წესია, ის ასრულებს თავის მოვალეობას პირნათლად და ხშირათ მას წესრიგისთვის თითქმის სიტყვიერათაც კი არ უხდება ასწავლოს წითელ ჯარს წესი და რიგი, არამედ ის ცდილობს ჯარს მისცეს მაგალითი თუ როგორ უნდა იდგეს თვითეული თავიანთ მოვალეობაზე.

მე მოვუწოდებ ახლად გამოშვებულ კურსანტებს, რომ დაიმსახურონ პატივის ცემა წითელ ჯარის კაცებისაგან და მაშინ გაკეთდება უფრო მეტი საქმე და ეჭვიც არ იქნება ჩვენ საბოლოო გამარჯვებაში.

პოლიტხელი ა. არსენიძე.

## დაუსრულებელი სპორტ

ა. წ. 1-ლ ნოემბრიდან ყოფილ საინჟ. ათასეულში შესდგა სასპორტ. ჯგუფი. შვიდ ნოემბრისათვის შესაჯიბრებლად. ამ ჯგუფის ხელმძღვანელათ იყო დანიშნული ამხ. ჯიქია და მის თანაშემწეთ ამხ. ქუბაბრია. ამ ჯგუფში მყოფ წითელ არმიელებს ამაცადინებდენ ერთხანს ენერგიულათ. და ეუბნებოდნენ შვიდში იქნება დაჯიბრება; და ვინც აჯობებთ მიიღებთ საჩუქარსო. მართლაც მთელი ჯგუფის წ. ა. მოუთმენლად ელოდნენ ალტაცებით შეჯიბრების დღეს. გავიდა შვიდი დღე და დაილია თვეც მაგრამ შეჯიბრება დაავიწყდათ. საჩუქრეიც ისევ უპატრონოდ გდია, ბარგსაწყობში. ჩვენ არ მოველოდით ამხანაგ ჯგუფის თანამშრომლებიდან ამ გვარ დავიწყებას. ვინაიდან დაგვივიწყეს და არ შეასრულეს თავისი დანიშნულება, ამისათვის ამხანაგ ჯგუფის ხელმძღვანელებს უთვლით შესაფერის გულის წყრომას, როგორიც ღირს არიან.

ცალკე მესანგრე ასეულის: სამკორი ი. გაფრინდაშვილი.

## ჩვენი მუშაობა

1-ლ ც. ა. კ. ლეგიონის ყველა ნაწილებში ორშაბათს წესიერად სწარმოებდა, როგორც სამხედრო ისე პოლიტ-განმანათლებელი და სხვა და სხვა წრეების მუშაობა.

თავისუფალ დროს, ბიურო კოლექტივის დავალებით ამხ. საქითხველოს მაგრამ გააცნო წითელ არმიელებს „სურამის ციხის“ შინაარსი საღამოს ექვს საათზე გაიხსნა საერთო კრება ამხ. ლომიძის თავმჯდომარეობით. მოხსენებას აკეთებს: ამხ. მარკაროვი ამიერ-კავკასიის და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ, რომელმაც ხაზი გაუსვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ, ეკონომიურ და დამოკიდებულებას, მათ ამხანაგურ მუშურ კავშირს და კავშირთა კავშირს დიდ ფედერაციასთან მოხსენებიდან გამოტანილ იქნა ერთხმად შემდეგი სა ახალი რეზოლიუცია.

ამხ. ლომიძის მოხსენების თანახმად არჩეული იქნა კონფერენციაზე გასაგზავნად 18 კაცი.

კრების დამთავრების შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო-სურათი „სურამის ციხე“. ამ გვარად ჩაიარა ორშაბათმა ჩვენ ლეგიონში.

ე. ცომაია.

## ჩვენს ასეულში.

ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის სამნეო ასეულში კვირას 17 დეკემბერს მოწვეული იქნა კრება. პოლიტხელმძღვანელის ამხ. ბურდილაძის მიერ. კრებაზე იყო გასარჩევი სამი საკითხი. 1. სამკორის არჩევა 2. გაზ. „წითელ არმიელის“ დახმარება. 3 ასეულში დამხმარე კასის დაარსება.

სამკორათ იქნა არჩეული გიორგი ჩხენკელი. გაზ. „წით. არმიელის“ დახმარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბურდილაძემ, რის შემდეგ სუყველამ ერთხმად მიიღეს რომ გადასდონ გაზ. „წითელ არმიელის“ სასარგებლოდ ფული პირველ ჯამაგირის მიღებისთანავე და გადაეცეს რედაქციას. დამხმარე კასაზე იყო დიდი კამათი, შემდეგ ხმის უმრავლესობით გადაწყდა კასის დაარსება გამგეობაში იქნა არჩეული ორი ამხანაგი 1. მეცხვარიშვილი ვასო და ჩხენკელი გიორგი.

„ფუდეკსი“.

## ცოტა რამ ყველაფერზე.

დედა-მიწის ირგვლივ ჰაეროპლანზე.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფრენით ჰაეროპლანზე, შემოუარეს დედამიწას გარშემო. ამერიკელი მფრინავი გარინგტონი ამ მიზნით გამოფრინდა ნიუორკიდან და პირველი მისი შეჩერება დასასვენებლად მოხდა, პორტუგალიის დედა ქალაქ ლისაბონში. ამნაირად შესრულებული იქნა მიზანი ატლანტიკურ ოკეანეზე გადაფრენის შეუსვენებლად მეორე დასვენება მოხდა ადენში, მესამე კალკუტაში. მეოთხე პორტ დარვინში (ავსტრალია). მეხუთე გავაიის კუნძულზე, ხოლო აქედან გარინგტონმა ერთი იერიშით გადაიფრინა წყნარი ოკეანე და დაფრინდა სანფრანცისკოში. მეშვიდეთ დაისვენა ჩიკაგოში და უკანასკნელად მერვედ უფნებლად ნიუორკში. მთელი ეს მოგზაურობა დედა მიწის ირგვლივ გაგრძელდა 9 დღეს და 20 საათს.




## „ცეცხლითა და მახვილით“

„ოსმალეთის მშვიდობიან ქალაქებს ინგლისის საჰაერო ფლოტილიამ ცეცხლის წამკიდებელი ყუმბარებიდაუშინა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები ტყვედ შეშვილი, ულუკმა-პუროდ რჩება ცის ქვეშ“

დეპეშებიდან

…და „ანტანტა“ შეიქურვა
თოფითა და ჯინჯილითა;
ჩაგრულ ერებს ემუქრება
თვის მომაკვდავ ხვიხვინითა.

ქოფაკი“ ყველგან იძახის;
„მსურს ქვეყანაზე მშვიდობა“.
მაგრამ საქმით-კი გამოსჩანს
ორპირობა და ფლიდობა.

და ყველა კონფერენციას
ტკბილი სიტყვებით ატარებს;
მგელი და გაუმაძღარი
თავს მშვიდს კრავებს ადარებს.

მაგრამ ცეცხლით და მახვილით
მშვიდ, მცხოვრებთ გულსა უგმირავს,
არა ჰლალატობს ძველს ადათს,—
სწირავს, როგორც აუწირავს.

ვითა შემოდგომის ბუზი
იკბინება ის ყველგანა,
რადგან ჰგრძნობს, რომ მალე თავზე
დაეცემა ეს ქვეყანა.

და ამ საქმის მეთაური
საბჭოთა ფედერაცია,
რომელსაც მას დასამარხავად
შრომის სიმღერა აცვია.

და წითელ ჯარის ყიჟინით
მათ უფსკრულში გადაჰკარგავს,
ალმოდებულ დროშის ძლევით
ჩაგრულ ერებს გადაჰქარგავს.

და მაშინ ელვარ მახვილით
„ანტანტებს“ გადაჰკაფავს,
რომელიც, უსმოსოდაც
მომავალი ვდავი სულსა ჰლაფავს.

დაშნა

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ პასუხი გავსცე ამხ. „კურსანტს“ რომელიც გაზეთ „წითელ არმიელი“-ს № 167 ახასიათებს კურსანტთა (მდგომარეობას უთუთუნობის სფეროში. უფრო ღირს შესანიშნავად მიმაჩნია მიუთითო ამხ. ავტორს იმ შემცდარ წინადადებზე, სადაც ეხება და იხსენიებს რომ კურსანტები თუთუნ სათვის ჰყიდიან ტანისაცმელს, ნუ თუ მარტო ამხ. „კურსანტმა“ შეამჩნია ეს გარემოება და სხვებმა კი ვერა. მაგრამ ეს აზრი სინამდვილეს მოკლებულია და ვერ გამიგია, რათ დასჭირდა ამხ. კურსანტს სიცრუის დაწერა. როდესაც უფრო მარტივად შეეძლო ამ მდგომარეობის აღნიშვნა. მართალია კურსანტებს არ ურიგდებათ ხვედრი თამბაქო-ამის მიზეზი იყო მრავალი მიზეზები უმთავრესათ არის სამნეო ნაწილის სისუსტე—მაგრამ რადგან სამნეო ნაწილს დღეს დღეობით მრავალი საქმეები ქონდა და ასე წვრიმალი დროებით ირჩებოდა. დღეიდან კი კურსანტნი იქნებიან ყოველმხრივ დაკმაყოფილებულნი, როგორც თუთუნით ისე სხვა და სხვა პროდუქტებით და სურსათ-სანოვაგით.

ზადრო.

## წითელ ყაზარმაში.

(ინსცენიროვკა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე).

მომქმედნი:

1) ანდრია—მამა 50 წ.
2) გიგა—22 წ.
3) ვანო—20 წ.

სცენა: ოთახი უბრალოდ მოწყობილი, ბუხართან ცეცხლაპირას ზის ანდრია და ჩიბუხს ეწევა. სიჩუმე. ზამთრის დღეა. გარედან ისმის გამვლელის სიმღერა:

კოხტა გოგოვ გენაცვალე
მაგ ქუჩუნა თვალებშია
შემიბრალე და ნუ დამწვამ
ულმობლად ცეცხლის ალებშია.

შემოდის ვანო

ანდრია. რაო შვილო, იყავი?
ვანო. ვიყავი.
ანდრია. მერე?
ვანო. მერე და ისაო, რომ ხვალ უნდა გამოცხადდეო. (დაჯდება სიჩუმე).
ანდრია. არა უშავს რა შვილო, უნდა მოიხადო შენი ვალი.
ვანო. ვალი არა ახლა ის ძითხარი შენ, არ წავალ და ის იქნება, რაც უნდა ის მიყონ.
ანდრია. ხარებს ბზე დაუყარე?
ვანო. ჰოოდე. (სიჩუმე).
ანდრია. აი განთავისუფლებაზე რაღაცა ხმა რო დადიოდა - რას ამბობენ?
ვანო. რა ვიცი ოცდა ორ წლიანებს ანთავისუფლებენო. თურმე ჩვენ იმიტომა გვკრეფავენ, (სიჩუმე). ეხლა მოშორდი შენს ოჯახს, იხეტიალე სადღაც ყაზარმაში და მოსცდი ტყუილად.
ანდრია. არა შვილო, არც ეგრეა, მაშ შენი ჰკუითა გიგა სულელი ყოფილა, რომ ეს მეორე წელია იქაა.
ვანო. მაშ არა და ჰკვიანია.
ანდრია. გიგაც ეგეთი იყო შვილოსა, მაგრამა აი. ნახე თავის ხელით იწერება წერილებს. (ვანო ფანჯარას მიადგება. ისმის ძაღლის ყეფა. ხმა: „ცუგა! ცუგა! ვედარ მიცანი? ჰწუ!..“ ყეფა მიწყნარდება
ვანო. მამა! გიგა მოდის. (უხარიან).
ანდრია. (გახარებული წამოდგება). გიგა?! (კარისკენ წავა).

შემოდის გიგა

გიგა, (წიგნებით, გაზეთებით)- ოო გამარჯობა მამა! (ჰკოცნის) რასა იქ ვანო? (ხელს ართმევს).
ვანო. (დარცხვენით) ვარ რაღა.
ანდრია. სხვა რასა იქ შვილო?
გიგა. არა მიშავს რა მამა. მე შენი დარდი მქონდა. დამიბერდი მამა ჩემო, დამიბერდი.
ანდრია, (მხიარულად) შენნაირებს ჯერ კიდევ ბევრს დავითრევ ქეჩოდანა.
გიგა. მართლა მამა?! (იცინის) აი მამა ჩემო. ჩემი წლიანები გაანთავისუფლეს და მეც გამოვეშურე სოფლისაკენ შეიარაღებული.
ანდრია. შეიარაღებული?! (სიცილით), რა ვიცი თოფი კი არსადა გაქვს და!
გიგა. აი თოფზე ძლიერი იარაღი. (მაგიდაზე დაწყობილ წიგნ-გაზეთებზე აჩვენებს). თუ ეს იარაღი იცი, თოფის მოხმარება არ გაგიჭირდება უამისოდ თოფი ბნელი საქმის მსახურია.
ანდრია. აბა ეხლა შენს ძმას ჰკითხე? ეხლა გაიწვიეს, მაგის წლიანები ჯარში და ეგ-კი გაურბის რა მინდა იქაო.
გიგა. რაო?! ეჰეე! ეს არ ვარგა ვანო! მეც ეგრე ვყავი შარშანა, როდესაც არ მესმოდა, მაგრამ ეხლა, როდესაც გავიგე რაშია საქმე, აი მე ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული დავბრუნდი შინ.
ანდრია. ეგ რაც ზერუაანთ ნუცას გადაეკიდა, მას მერე ლაზღანდარობის მეტი აღარა ახსოვს-რა. (დაჯდება ბუხართან), ეჰ, რატომ დედა თქვენი ცოცხალი არაა, რომ ენახეთ რამოდენები დაიზარდენით. (სიჩუმე. ფიქრებს მიეცემა).
გიგა. მართლა, ვანო?? (ხელს მხარზე დაადებს) მომილოცავს. მაგრამ ჯერ მოვალეობის შესრულება პირნათლად. ჩემო კარგო და შემდეგ ეგა.. მართლა! (განზე გაიყვანს). ჩემო ნატო როგორაა?
ვანო. წუდანაც მეკითხებოდა შენზე წყაროზე იყო.
გიგა. ჩემი ნატო... (მღიმარე სახით ჩამოჯდება ფანჯარასთან, სიჩუმე სხვა მამაჩემო! (ადგება, მივა და ხელზე მხარს დაადებს). რას ჩაფიქრებულხართ?
ანდრია. რაღაცა ფიქრებმა წამიღეს შვილო: თქვენზე ვფიქრობდი...
გიგა. ყოჩაღათ იყავი მამა, ეხლა ჩვენზე ნუღარა ფიქრობ; სწავლის შემდეგ ჩვენ ადვილათ გავიკვლევთ ცხოვრების გზას.
ანდრია. აი ეხლა ბიჭო, შენი დაქორწილების დროცაა და!.. ი გოგოც მელოდება მე და ჩემმა ღმერთმა სანთლისაეფ დადნა.
გიგა. ო, ნატო?! (სიჩუმე). მოვესწრობით მაგასაცა მამაჩემო. (მხიარულად). ეხლა რას იტყვი მამა? ძველი დრო სჯობდა თუ ახალი?
ანდრია. ამას რაღა კითხვა უნდა? ბატონი აღარა მყავს და პრიჩტავ ტრაენიკი. ჩემი თავის პატრონი მე ვარ ეხლა. ვენაცვალე ჩვენ მთავრობასა. კარგი ნაფუზარი მიწა მომცეს. ერთი დღიური, აი ბატონიანთ რო ჩ მოართვეს რაღა, ლი სავენახე წაბლარუსთან. ეხლა ველარავინ წამართმევს იმასა.
გიგა. ეგრე, ეგრე მამა ჩემო. უნდა დავიცათ ჩვენი ოფლითა და სისხლით მონაგარი.
ანდრია. აი შვილო, ვანო. ეგეც შენზე უარესი ჯიუტი იყო მაგრამა ნახე, როგორი ბიჭია ეხლა?
გიგა. რა ძმაო ვანო. ეხლანდელი წითელი ყაზარმა არის წითელი სკოლა და არა ყაზარმა. მომეცი ფიცი, რომ იქნები პატიოსანი წითელი არმიელი მშრომელთა სადარაჯოზე. შეისწავლი ყველაფერს ისე, ვით მე და უკეთესადაც.
ვანო. ვფიცავ დედას!

(შემდეგი იქნება)

სიუზანნა.